საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს
ქალბატონ მაია ქადეიშვილს
რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსის
სერგო შავგულიძის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო მაია,

თქვენს სამსახურებრივ ბარათთან (შ-10/5806-15, 13.08.2015) დაკავშირებით, რომელიც ეხება შპს "სტერეო+"-ის (08/08-15, 10.08.2015) წერილს, გაცნობებთ, რომ GEO258 ციფრული სამაუწყებლო ზონისთვის განაწილებული სატელევიზიო არხების (27, 33, 36) ნინოწმინდისა და ბაკურიანის (GEO255 ზონა) საიტებზე გამოყენება შეუძლებლად მიგვაჩნია შემდეგი მიზეზების გამო:

1) აღნიშნული არხების ნინოწმინდის და ბაკურიანის საიტებზე გადატანისათვის საჭიროა ITU-ს რეგიონალური შეთანხმების (RRC 06) ფინალური აქტების (Geneva 06) შესაბამისად განხორციელდეს შესასაბამისი საკოორდინაციო პროცედურები. კერძოდ, აღნიშნული სატელევიზიო არხებისთვის სიხშირული გამოყოფებების დამატება GEO255 ზონაში, ხოლო შემდგომ, მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კოორდინირებული არხების კონვერსია ანუ ტექნიკური პარამეტრებით მოდიფიცირება, რაც ამ ეტაპზე პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Geneva 06 გეგმის თანახმად ეს არხები არ არის GEO255 ზონისთვის განსაზღვრული და საკოორდინაციო პროცედურები მოიცავს დროის საკმაოდ გრძელ პერიოდს, საუკეთესო შემთხვევაში არანაკლებ 3 თვისა.

2) იმისათვის, რომ ჟენევა-06 გეგმაში შევიდეს ცვლილება და 27, 33, 36 არხები დაემატოს GEO255 ზონას, აუცილებელია მეზობელ სახელმწიფოებთან მათი წინასწარი შეთანხმება, თანახმად არსებული ორმხრივი ხელშეკრულებებისა, რაც ასევე შეიძლება გამოდგეს დროის მიხედვით ხანგრძლივი პროცესი და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, რიგ შემთხვევებში, დასრულდეს უშედეგოდ. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მოსამზადებელ პერიოდში, გადამცემი სადგურების მაღალი ალტიტუდის მქონე ადგილმდებარეობებზე განთავსებისას, ე.წ. „შეხებული ადმინისტრაციებთან“ საკოორდინაციო პროცედურების ჩატარება მოიცავდა, როგორც აზერბაიჯანს, სომხეთს და თურქეთს, ასევე ირანს და რუსეთის ფედერაციას.

3) მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ 27, 33 და 36 სატელევიზიო არხების GEO255 ზონაში ნინოწმინდის და ბაკურიანის საიტებზე გადატანით, მოსალოდნელი ინტერფერენციის გათვალისწინებით შეიზღუდება უკვე დანაწილებული და კოორდინირებული სხვა სიხშირული რესურსის 34-ე (GEO255 ზონაში ეს არხი მინიჭებულია შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის") და 37-ე არხების ეფექტური და რაციონალური გამოყენება.

პატივისცემით, ს. შავგულიძე სერგო შავგულიძე
14.08.2015

შემოსულია №შ-10/5866-15
14 08 2015
1+2 ფურცელი

რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსს
ბ-ნ ს. შავგულიძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის
მაია ქადეიშვილის

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო სერგო,

კომისიაში შემოსულია შპს "სტერეო+"-ის წერილი (№შ-6/5697-15, 10.08.15), რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B, №MUX E და №MUX D ლიცენზიებში გარკვეული ცვლილებების ასახვის თაობაზე.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი დასკვნა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: შპს "სტერეო+"-ის წერილი (№შ-6/5697-15, 10.08.15).

პატივისცემით,

მ. ქადეიშვილი
12.08.2015

ფაქსიმილე №ქ-10/5806-15
13 08 2015
1+1 ფურცელი

შპს სტეროეპლუს

დაგეგმვა, მაუწყებლობა, მომსახურება

მ.ალექსიძის 1, 0193, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 233-35-22 პ/ნ № 204986408
E-mail:contact@stereoplus.ge; web:www.stereoplus.ge

STEREO+ LTD

Planning, Broadcasting, Assistance

M. Aleqsidze str. 1. 0193, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 32 233-35-22 I/N 204986408

#08/-08-15

10/-აგვისტო 2015წ.

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ ვახტანგ ჯაბაშიძეს

ბატონო ვახტანგ,

უპირველეს ყოვლისა მინდა საჯარო მადლობა გადაგიხადოთ იმ ქმედით წაბიჯებზე, რომლებსაც თქვენი სტრუქტურები ანხორციელებენ ციფრული მაუწყებლობის ჩართვების პროცესის ხელსშესაწყობად, ხელშეშლათა გამოვლენა-აღკვეთის ღონისძიებათა სახით.

ჩვენს მოწერილ წერილზე, რომელიც ეხება ჩვენი კუთვნილი მულტიპლექსების (B,D,E,) სიხშირეთა ჰარმონიზაციის მიზნით შიდა გადაადგილებებს, დამატებით გვინდა გთხოვოთ, რომ საქმის წარმოების პროცესში ასევე ასახოთ შემდეგი ცვლილება:

ორი სამაუწყებლო პუნქტი, ბაკურიანი და ნიწოწმინდა, რადგან ისინი იმყოფებიან ზღვის დონიდან 2000 მ წიმწულის მაღლა, ზამთარში ნალექებით გამოწვეული შესაძლო ხელშეშლის გამო, როგორც ვიცით სასურველია ისინი მყარად იყვნენ „მიბმული" მაღალი კატეგორიის საიტებთან (შესაბამისად ბორჯომი და ახალქალაქი) ტრანსპოზიციების მეთოდით, ამიტომ გთხოვთ გამოწახოთ საშუალება, რათა ჩვენი სიხშირული პაკეტებიდან ბაკურიანზე და ნიწოწმინდაზე დამაგრდეს 27, 33, 36 პაკეტი.

იმედს ვიტოვებთ შემდგომი წაყოფიერი თანამშრომლობისა.

პატივისცემით,

შალხაზ კვარაცხელია

დირექტორი.

შემოსავლიდან №1-6/5697-15
10.08.2015
1 ფურცელი